ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

9 დეკემბერი, შაბათი, 1989 წ.
№ 235 (10 154) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



„დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი). (იხ. მე-3 გვ.)

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

# დღის წესრიგშია კეტბურთი და სოფტბოლი

ჩვენს ქვეყანაში არც ისე დიდი ტრადიცია აქვს კეტბურთსა და სოფტბოლს. სპორტის ეს შედარებით ახალი სახეობები ბევრ საინტერესოსა და მიმზიდველს პირდება სპორტის მოყვარულებს, თანდათან პოპულარული ხდება. გაიმართა პირველი საკავშირო ჩემპიონატი კეტბურთში, წელს უმაღლეს ლიგაში გადავიდა ჩვენი რესპუბლიკის ორი გუნდი. ახლა აქტიური პროპაგანდა, მთელი საზოგადოებრიობის დაინტერესებული მხარდაჭერაა აუცილებელი იმისათვის, რომ ჩვენში სპორტის ამ სახეობებმაც მკვიდრად მოიკიდოს ფეხი.

ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, როდესაც დააკმაყოფილა საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს კეტბურთისა და სოფტბოლის ფედერაციის თხოვნა იმის თაობაზე, რომ ევროპის კეტბურთისა და სოფტბოლის კონფედერაციის მორიგი სხდომა გაიმართოს ქ. თბილისში, 1990 წლის 9-11 თებერვალს. კონფედერაციის სხდომაში მონაწილეობას მიიღებენ კეტბურთისა და სოფტბოლის ეროვნულ ფედერაციათა ხელმძღვანელები, წამყვანი სპეციალისტები, მწვრთნელები და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენლები, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს ქართული სპორტის საერთაშორისო კონტაქტების შემდგომ განმტკიცებასა და გაფართოებას. კონფედერაციის სხდომის მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით დამტკიცდა საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ო. ქვილითაია — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე); ჯ. ბაგრატიონი — საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; გ. ბუკია — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სპორტისა და ტურიზმის სექტორის გამგე; ი. გამრეკელი — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე; თ. გაჩეჩილაძე — გაზეთ „ლელოს" რედაქტორი; დ. გახოკიძე — საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე; ა. გოგელია — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე; რ. გოგლიძე — კეტბურთისა და სოფტბოლის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარე; ნ. ენდელაძე — საქართველოს სსრ სპორტსახკომის თავმჯდომარე; ჯ. ზამბახიძე — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე; ა. იოსელიანი — გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორი; რ. კანდელაკი — საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; პ. ნაცვლიშვილი — გაზეთ „სამშობლოს" რედაქტორი; დ. პერტენავა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის განყოფილების გამგე; ო. სიამაშვილი — სსრ კავშირის უცხოეთის ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სამმართველოს უფროსი; ზ. ღუღუნიშვილი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი კურორტების რესპუბლიკური გაერთიანების უფროსი; ვ. შადური — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე; გ. შულაროვი — საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი; ვ. ცაგარეიშვილი — საკონდიტრო გაერთიანება „მზიურის" გენერალური დირექტორი; ვ. ცხადაძე — სასტუმრო „ივერიის" დირექტორი; ა. წილოსანი — საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე; გ. ჭანტურია — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.



# მეცხრამეტედ!

ყოველი წლის ბოლოს ტრადიციულად ჩვენი დედაქალაქი მასპინძლობს ხელბურთელთა საერთაშორისო ტურნირს გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე. სპორტის მოყვარულებს კარგად მოეხსენებათ, რომ წარსულში ამ ტურნირში მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიოს საუკეთესო გუნდები, მოასპარეზე გუნდების რაოდენობაც გაცილებით მეტი იყო, ამჯერად რიგით 28-ე ტურნირზე კი თავი მოიყარა მხოლოდ ოთ-

იხ. მე-2 გვ.

## ვულოცავთ!

### თამაზ იმნაიშვილი — ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

„მხედველობის ანალიზატორის ფუნქციური მდგომარეობის ცვალებადობა სასტენდო სროლაში მომზადებისა და შეჯიბრების პირობებში" — ასეთი იყო სადისერტაციო თემა, რომელიც ჩვენმა სახელოვანმა მესტენდურმა თამაზ იმნაიშვილმა მოამზადა. დისერტანტს ხელმძღვანელობდა ლვაწლმოსილი მეცნიერი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი სერგო ნარიკაშვილი.

აკადემიკოს ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სპეციალურმა საბჭომ თამაზ იმნაიშვილს მიანიჭა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ისინი ოთხნი მოვიდნენ რედაქციაში. ეს გუშინ იყო. ორი დღით ადრე კი სამი ვაჟი სეოკ-ის აღმასკომის სხდომაზე გვეწვია. თავაზიანად გვაცნობეს სტუმრობის მიზეზი... (იხ. მე-4 გვ.)



# ჩვენს მკითხველებს!

„ლელომ" 6 დეკემბერს გამოაქვეყნა „წლის მონაგარი" — იმ სპორტსმენებისა და გუნდების სია, რომლებმაც ამ სპორტულ სეზონში წარმატებით იასპარეზეს მსოფლიო, ევროპის და ქვეყნის ჩემპიონატებში, დიდ საერთაშორისო ტურნირებში. მკითხველებს მივმართეთ საქართველოს 1989 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენის (მათ შორის №1 სპორტსმენის), აგრეთვე სამი რჩეული გუნდის და ათი მწვრთნელის გამოსავლენად მოგვაწოდონ თავიანთი აზრი. სპორტსახკომის მთავარმა სპორტულმა სამმართველომ, რომელმაც შეადგინა „წლის მონაგარი", გვთხოვა მკითხველებმა გაითვალისწინონ, რომ ქვეყნის ჩემპიონ გუნდებს შორის ჩამონათვალში გამორჩენილია საქართველოს ქალ წყალბურთელთა გუნდი. ხოლო ლეილა მესხმა ევროპის ჩემპიონობა (გუნდური) მოიპოვა მას შემდეგ, როცა „წლის მონაგარი" უკვე შედგენილი იყო. თუმცა „ლელო" მესხის წარმატებაზე წინა დღით, 5 დეკემბერს იუწყებოდა.

## ჩვენი ენა ქართული...

# მსაჯი-ინფორმატორი მიკროფონთან

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტმა და სპორტულ ჟურნალისტთა რესპუბლიკურმა ფედერაციამ გადაწყვიტეს 14 და 15 დეკემბერს თბილისში, ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში ჩაატარონ რესპუბლიკური სემინარი მსაჯ-ინფორმატორის კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ქართული ენის ცოდნის გასაღრმავებლად.

სემინარში რესპუბლიკის სპორტული ბაზების წარმომადგენელთა და სპორტის ცალკეულ სახეობებში მომუშავე მსაჯ-ინფორმატორთა და მსურველთა მონაწილეობა სავალდებულოა.

დასაწყისი 14 დეკემბერს 14 საათზე, 15 დეკემბერს — 15 საათზე.

# მეცხრამეტედ!

(დასასრული)

**ხმა კოლექტივმა — სსრ კავშირის პირველმა, სსრ კავშირის ახალგაზრდულმა, პოლონეთის და საქართველოს ნაკრებმა გუნდებმა.**

ტურნირის პირველი შეხვედრა 6 დეკემბერს გაიმართა — ერთმანეთს სსრ კავშირის პირველი და ახალგაზრდული გუნდები შეხვდნენ. მატჩის დასაწყისში ახალგაზრდებმა მხოლოდ მცირედი წინააღმდეგობა გაუწიეს უფროს კოლეგებს, მაგრამ სულ მალე გასაგები გახდა, რომ ეს წინააღმდეგობა დიდხანს ვერ გასტანდა. ახალგაზრდები ხშირად ცდებოდნენ, როგორც დაცვაში, ისე შეტევის დროს ისინი ვერც შვიდმეტრიანი საჯარიმო ტყორცნების დროს იჩენდნენ სიზუსტეს. საბოლოოდ, გამოცდილებამ თავისი გაიტანა და სსრ კავშირის მთავარმა ნაკრებმა კანონზომიერი გამარჯვება მოიპოვა.

პოლონეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების შეხვედრა ქართველ ხელბურთელთა შეტევებით დაიწყო. მათ პირველსავე წუთებზე გახსნეს ანგარიში, დაცვაშიც კარგად ითამაშეს და ზედიზედ კიდევ ორი ბურთი გაიტანეს — 3:0. პირველი ტაიმი ჩვენი ხელბურთელების უპირატესობით წარიმართა, რომლებმაც იმარჯვეს კიდეც — 17:13. მეორე ნახევრის დასაწყისში უპირატესობა კვლავ ქართველი ხელბურთელების მხარეს იყო, მაგრამ შეხვედრის ბოლოს მოადუნეს ყურადღება. ამით კარგად ისარგებლეს პოლონელებმა და ანგარიში გაათანაბრეს — 25:25. საქართველოს ნაკრებმა ბოლო წუთზე ვერ გამოიყენა შვიდმეტრიანი საჯარიმო ტყორცნა, საბოლოოდ ფრე — 27:27.

ცნობილი ქართველი ხელბურთელის, **საპატიო სპორტის ოსტატის ჯემალ ცერცვაძის** კომენტარი:

— წარსულში თბილისის ტურნირი დიდი პოპულარობით სარგებლობდა, მაყურებელიც მრავლად ესწრებოდა თამაშებს. ეს გასაგებია, რადგან მაშინ ჩვენ ძლიერი გუნდი გვყავდა. დროთა განმავლობაში დაიკარგა ტურნირისადმი ინტერესი და ახლა იგი, მე ვიტყოდი, საკავშირო ნაკრებისთვის უფრო ტარდება, ვიდრე ჩვენი გუნდისთვის. ეს შეჯიბრება ჩვენივე ხარჯით ეწყობა, მაგრამ... პირობებს სხვები გვკარნახობენ. საჭიროა აუცილებლად შეიცვალოს ტურნირის ფორმა. ვფიქრობ, იგი უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახდება, თუ მასში მონაწილეობას საკლუბო გუნდები მიიღებენ. პოლონეთის გუნდი, ჩანს, ძლიერი შემადგენლობით არ არის ჩამოსული, ნაკრებში ახალგაზრდობა სჭარბობს. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, იგრძნობა პროგრესი თავდასხმაში თამაშისას. აი, დაცვაში და, საერთოდ, ფიზიკურად კი ისინი, ჩემი აზრით, სუსტად გამოიყურებიან. ამ მიზეზით ვერ მიიყვანეს თამაში გამარჯვებამდე და ფრეს დასჯერდნენ პოლონელებთან.

ტურნირის მეორე დღე: პოლონეთი — სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები — 26:27 (12:17).

სსრ კავშირი-I — საქართველო — 36:19 (20:12).

**ამ დღის მატჩების კომენტარი ვთხოვეთ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ამბერკო ტაბიძეს:**

— ახალგაზრდული ნაკრები უფრო აქტიურად თამაშობდა დაცვაში, ამასთან მეკარემაც კარგად ითამაშა. შეტევების დროს კი ხშირად მოსდიოდათ შეცდომები. პოლონელთაგან საუკეთესოდ ითამაშეს პეტერ პუშინსკიმ და რობერტ სკალსკიმ. კარგად თამაშობდნენ მეკარეებიც. ჩვენი გუნდის და სსრ კავშირის ნაკრების ბედი, ფაქტიურად, პირველ ტაიმშივე გადაწყდა. შეიძლება ჩვენმა ხელბურთელებმა ძალები ახალგაზრდულ ნაკრებთან შეხვედრისთვის შემოინახეს, მაგრამ ასე სუსტად მაინც არ უნდა ეთამაშათ.

გუშინ ტურნირზე გაიმართა ორი უკანასკნელი შეხვედრა. აი მათი შედეგები: სსრ კავშირი-I — პოლონეთი — 36:25 (20:13), სსრ კავშირი-II — საქართველო — 25:24 (13:12).

ამრიგად, თბილისის 23-ე საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულია სსრ კავშირის პირველი ნაკრები (უფროსი მწვრთნელი ანატოლი ევტუშენკო), რომელმაც მეცხრამეტედ მოიპოვა ეს ტიტული.

**გია ბურდული.**



ალტერნატივა? — მკითხველი ასე ფიქრობს...

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

წინადადებები, შენიშვნები, მოსაზრებები

## გულშემატკივრის პროექტი

**საქართველოს** ეროვნულ ჩემპიონატში უახლოეს მომავალში მონაწილეობა უნდა მიიღოს: საკავშირო II ლიგაში მონაწილე 8 გუნდმა და საქართველოს პირველობის საუკეთესო გუნდებმა რეგიონების მიხედვით (14 გუნდი), სულ 22 გუნდმა. ესენია: „ლოკომოტივი“ (სამტრედია), „კოლხეთი“ (ფოთი), „კოლხეთი“ (ხობი), „მერცხალი“ (ოზურგეთი), „დილა“ (გორი), „შევარდენი“, (თბილისი), ომც (თბილისი), „მეტალურგი“ (რუსთავი), „შადრევანი“ (წყალტუბო), „დინამო“ (ზუგდიდი), „სულორი“ (ვანი), „მეტალურგი“ (ზესტაფონი), „შუქურა“ (ქობულეთი), „მაღაროელი“ (ჭიათურა), „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ), „სქური“ (წალენჯიხა), „მზიური“ (გალი), „ამირანი“ (ოჩამჩირე), „ივერია“ (ხაშური), „სპარტაკი“ (ცხინვალი), „დურუჯი“ (ყვარელი), „სიონი“ (ბოლნისი). პარალელურად უნდა ჩატარდეს ზონალური შეჯიბრება დანარჩენი რაიონების გუნდებისათვის. ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს ორ წრედ მიმოსვლითი მატჩებით. ჩატარების ვადები: აპრილი-ოქტომბერი. გუნდების სტატუსი უნდა იყოს პროფესიული და ნახევრადპროფესიული (არასრული თვითდაფინანსებით). ჩემპიონები და პრიზიორები დაჯილდოვდებიან შესაბამისად ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლებით, პირველი, მეორე და მესამე ხარისხის დიპლომებით. ზონალურ შეჯიბრებაში გამარჯვებული მომავალ ჩემპიონატში შეცვლის ეროვნულ ჩემპიონატში ბოლო ადგილზე გასულ გუნდს. სეზონის ბოლოს (ნოემბერი-დეკემბერი) უნდა ჩატარდეს „დამოუკიდებლობის თასის“ გათამაშება ჩემპიონატის პრიზიორებისა და თბილისის „დინამოს“, ლანჩხუთის „გურიას“, ქუთაისის „ტორპედოს“, ბათუმის „დინამოს“, სოხუმის „დინამოს“ მონაწილეობით (სულ 8 გუნდი). თამაშები ჩატარდეს სტუმრად და შინ — გამოთიშვით. ჩატარდეს მეოთხედფინალები, ნახევარფინალები და ფინალი. მეოთხედფინალის მონაწილეები განისაზღვროს კენჭისყრით, ასევე ნახევარფინალის მონაწილეებიც. ფინალური მატჩი ჩატარდეს ნეიტრალურ მოედანზე. გამარჯვებულს გადაეცეს გარდამავალი თასი და შესაბამისი დიპლომი.

პერსპექტიული ფეხბურთელებით შეივსება თბილისის „დინამოს“, ლანჩხუთის „გურიის“, ქუთაისის „ტორპედოს“, ბათუმის „დინამოს“ რიგები.

თუ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი და „დამოუკიდებლობის თასის“ გათამაშება ჩატარდება მაღალ დონეზე და გახდება პრესტიჟული და ავტორიტეტული, თბილისის „დინამო“, ლანჩხუთის „გურია“, ქუთაისის „ტორპედო“, ბათუმის „დინამო“ და სოხუმის „დინამო“ საკავშირო პირველობაში მონაწილეობას საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში გამოსვლას ამჯობინებენ.

პერსპექტივაში უნდა ვეცადოთ პირდაპირ გავიდეთ საერთაშორისო ასპარეზზე. მანამდე კი საბჭოთა კავშირის გუნდებთან შეხვედრები გავუთანაბროთ თავისი მნიშვნელობით ოფიციალურ საერთაშორისო შეხვედრებს (ჩავთვალოთ ეს შეხვედრები საერთაშორისოდ). საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველომ და ფეხბურთის რესპუბლიკურმა ფედერაციამ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან მჭიდრო კავშირში გასწიოს საჭირო მუშაობა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციებში შესასვლელად.

**ვასილ ხუნდაძე,**
**თბილისის „დინამოს“ გულშემატკივართა კლუბის პასუხისმგებელი მდივანი.**

## ჯერ ნუ ვიტყვით უარს...

**ვეთანხმები** იმ აზრს, რომ ჩატარდეს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში, მაგრამ მოსაზრება, რომ ეს მოხდეს საკავშირო მეორე ლიგის გუნდების ხარჯზე, არასწორად მიმაჩნია. ამით ჩვენ მივიღებთ უინტერესო ჩემპიონატს.

დასამალი არაა, თუ როგორ უფერულად ტარდება სსრკ ჩემპიონატი მეორე ლიგის ყველა ზონაში, მათ შორის მეცხრე ზონაშიც, სადაც მონაწილეობენ ჩვენი რესპუბლიკის გუნდები. არ მინდა ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ სათქმელი მაინც უნდა ითქვას, ჩვენი გუნდებიც ისევე უფერულად გამოიყურება, როგორც სხვა დანარჩენები.

გადავხედოთ საქართველოს პირველობას. აქაც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იგივე სურათია, თამაშის დაბალი ხარისხი, ბევრი უფერული მატჩი, ამიტომ ამ გუნდების ხარჯზე საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება სწორად არ მიმაჩნია, მით უმეტეს თუ საქართველოს ჩემპიონი ვერ მიიღებს მონაწილეობას საკავშირო ლიგაში, არაფერს ვამბობ მეორე და მესამე პრიზიორებზე, აგრეთვე თასის მფლობელზე, თუ ფინალისტზე.

უნდა ჩავატაროთ საქართველოს ნამდვილი ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში, უარი ვთქვათ სსრკ ჩემპიონატზე ყველა ლიგაში, შევქმნათ ჩვენი ქართული ეროვნული ლიგა, შევიდეთ უეფა-სა და ფიფა-ში. ჩვენმა საფეხბურთო კლუბებმა მონაწილეობა მიიღონ ევროპულ ტურნირებში, ხოლო საქართველოს ნაკრებმა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში. ეს გადაარჩენს ჩვენს ფეხბურთს. ასე მივიღებთ ნამდვილ საინტერესო, დაძაბულ და ლამაზ ჩემპიონატს. სხვა გზას ვერ ვხედავ.

მანამდე, სანამ ჩვენ არ ვართ უეფა-სა და ფიფა-ს წევრი, მივიღოთ მონაწილეობა სსრკ ჩემპიონატების სამივე ლიგაში, გვყავდეს უმაღლეს ლიგაში 2 გუნდი, პირველში — 3, მესამეში — 9 და ვიამაყოთ ამით. რაც შეეხება იმას, რომ გავათამაშოთ „დამოუკიდებლობის თასი“, ეს ჩინებული აზრია, აქ უნდა იასპარეზონ საკავშირო ლიგებში მონაწილე ჩვენი რესპუბლიკის კლუბებმა, აგრეთვე საქართველოს პირველობის ჩემპიონმა და პრიზიორებმა, მიზანშეწონილია თუ ეს თასი გათამაშდება მიმოსვლით, შინ და გარეთ.

მისასალმებელია კინორეჟისორ ალექსანდრე ქლენტის მოსაზრება, რომ 1990 წლის საფეხბურთო სეზონში შევქმნათ საქართველოს ეროვნული ნაკრები, მოვიწვიოთ რომელიმე ქვეყნის გუნდი, ვეთამაშოთ მათ, დიახ, ეს მატჩი აუცილებლად უნდა ჩატარდეს 26 მაისს.

საჭიროა შევქმნათ საქართველოს საფეხბურთო კავშირი, ისე წარვმართოთ მუშაობა, რომ ჩვენი საფეხბურთო კავშირი სცნოს უეფამ და ფიფამ, გავხდეთ მათი სრულუფლებიანი წევრი. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება ჩავატაროთ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი, მანამდე კი ნუ ვიტყვით უარს, მივიღოთ მონაწილეობა სსრკ ჩემპიონატებში.

და კიდევ ერთი, დროა ახალ საფეხბურთო სეზონში მაინც დავარქვათ ჩვენს კლუბებს ნამდვილი ქართული სახელები.

**გია თავართქილაძე.**
**ქ. ოზურგეთი.**

## მაპატიეთ პირდაპირობისათვის

**გაოცებული** ვრჩები, როცა ქართველი ფეხბურთის სუვერენიტეტის საკითხებზე მკითხველთა და გულშემატკივართა წერილებს ვეცნობი. რა მაოცებს? ის, რომ ბევრს ძალიან ადვილად წარმოუდგენია ქართული ფეხბურთის მომავალი ბედი. ვითომ რა, თუ ქვეყნის პირველობაში მონაწილეობაზე უარს ვიტყვით და საკუთარ ჩემპიონატს ჩავატარებთ, ეს იქნება საკმარისი გამოვიდეთ უეფა-ს და ფიფა-ს ტურნირებში და შეჯიბრებებში, ან შინ ჩავატაროთ საერთაშორისო მატჩები? არა, საქმე ასე არ არის. სხვა ქვეყნების მაგალითის მოტანა ჩვენ არ გამოგვადგება. მაოცებს ისიც, რომ რედაქციამ ჩინებულად იცის, რა სირთულეებია ამ გზაზე და მაინც არ უსწორებს ავტორებს, არც განმარტებებს იძლევა. რატომ? თქვენ თუ გეუხერხულებათ ან ეს რაიმე პოზიციას გამოხატავს, სპეციალისტებს მიეცით სიტყვა. პირადად მე ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ზოგიერთი, რამდენადაც ღრმად იცნობს ფეხბურთს, იმდენად სუსტად იცის ორგანიზაციული საკითხები, მსოფლიო საფეხბურთო მოძრაობის პრინციპები და ისტორია. ეს მათი ბრალი როდია. ამიტომ ახლა სხვა დროა და ვთქვათ ყველაფერი სიმართლე, ილუზიებით ახლა მაინც ნუ ვიცხოვრებთ.

ბოდიშს ვიხდი ასეთი პირდაპირობისთვის. ამ წერილს თუ დაბეჭდავთ, იმედი მაქვს ტონს არ შეცვლით, რადა მე ჩამიდგებით ჯიბრში.

**მ. თოფურია,**
**თბილისი, ფეხბურთის გულშემატკივარი,**
**ეკონომისტი.**

**რედაქციისაგან:** მ. თოფურია მართალია, ჩვენ არ ვერევით მკითხველთა აზრებში. ვცდილობთ, ტექსტში სრულად დარჩეს ავტორისეული შეხედულება. სხვაგვარად ვერ გაირკვევა პოზიცია. ამასთან, ყოველთვის იმის იმედად ვრჩებით, რომ მკითხველს ისევ მკითხველი შეუსწორებს. ასე სჯობს. ისე კი, ცხადია, უმჯობესია, ყველა წერილზე (მიმოხილვით მაინც) კომენტარი სპეციალისტმა მოგვაწოდოს. აქ მხოლოდ ფეხბურთს არ ვგულისხმობთ, რატომ არ უნდა გამოეხმაურონ, ვთქვათ, საერთაშორისო სამართლისა და სხვა დარგის სპეციალისტები? ფეხბურთიც ხომ ბევრ პრობლემასთანაა გადაჯაჭვული.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ქალთა შორის

# ვითარება ბუნდოვანია

**როგორც** მოსალოდნელი იყო, ვოლჟსკში მიმდინარე ქალთა 49-ე ჩემპიონატის ბოლო ტურის წინ მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბული და ბუნდოვანი გახდა. ამას თვალნათლივ მოწმობს ის გარემოებაც, რომ სამ საპრიზო ადგილზე პრეტენზიას 9 (!) მოჭადრაკე აცხადებს.

იმისათვის, რომ უფრო ცხადი გახდეს ვითარება, თავდაპირველად გთავაზობთ მდგომარეობას უკანასკნელი, XVII ტურის წინ; ირინა ჩიოლუშკინა — 10,5 ქულა. იულია დიომინა, აინურ სოფიევა — 10-10, ქეთევან კახიანი, ნინა სიტნიკოვა, ლიდია სემიონოვა — 9,5-9,5, ზოია ლელჩუკ-პოპოვა, მარინა შერემეტიევა, გულნარა სახატოვა — 9-9, ფირუზა ველიხანლი — 8, სვეტლანა პრუდნიკოვა, ფლორა უსკოვა, ვალენტინა კოზლოვსკაია, მარია ნეპეინა — 7-7, ანდა შაფრანსკა — 5,5, ირინა უმანსკაია — 5, რენატა დომკუტე — 4,5.

XVI ტურში პრუდნიკოვამ მოუგო უმანსკაიას, ველიხანლიმ — ხარკოვას, კოზლოვსკაიამ — შაფრანსკას, დომკუტემ — სახატოვას, სიტნიკოვამ — ლელჩუკს, ჩიოლუშკინამ — სემიონოვას, ხოლო ნეპეინა-სოფიევასა და დიომინა-უსკოვას პარტიები ყაიმით დამთავრდა.

შერემეტიევა-კახიანის პარტიაში გათამაშდა იტალიური პარტია. შავებით მოთამაშე კახიანმა შეძლო პოზიციის გათანაბრება, მაგრამ ამას მოჰყვა ფიგურების მრავალრიცხოვანი გაცვლა და 35-ე სვლაზე მოწინააღმდეგენი დაზავდნენ.

ბოლო ტურში, რომელიც გუშინ გაიმართა, ერთმანეთს ხვდებოდნენ: სოფიევა-პრუდნიკოვა, უმანსკაია-ხარკოვა, ველიხანლი-კოზლოვსკაია, შაფრანსკა-დიომინა, უსკოვა-დომკუტე, სახატოვა-ლელჩუკი, სიტნიკოვა-ჩიოლუშკინა, სემიონოვა-შერემეტიევა, კახიანი — ნეპეინა.

**„ლელოს“ კორ.**

ჭადრაკი

# „კოლხეთის შემოდგომა-89“

**ხობში** გაიმართა მოჭადრაკეთა პირველი საკავშირო ტურნირი, რომელმაც საკმაოდ ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი — 3 საერთაშორისო ოსტატი, 7 ოსტატი და 3 ოსტატობის კანდიდატი. აღნიშნული შეჯიბრება იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ყველა ხარჯები გაიღეს: სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობა „კოლხეთმა“, ჩაის საექსპორტო წარმოების კომბინატმა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საწარმოო კომბინატმა, დაფნის კომბინატმა, სარემონტო უბანმა და კულტურულ-სპორტული კომპლექსის საკოორდინაციო საბჭომ.

ტურნირის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნონა გაფრინდაშვილი.

I-II ადგილები 8,5-8,5 ქულით გაიყვეს მოსკოველმა ნიკოლოზ ანდრიანოვმა და ლენინგრადელმა ევგენი სოლოჟენკინმა. III-V ადგილებზე გავიდნენ გოჩა ტყებუჩავა (სენაკი), ვასილ გაგარინი (მოსკოვი) და ამირან ბერძენიშვილი, აღსანიშნავია 11 წლის ხობელი მოსწავლის ზურაბ ტყებუჩავას შედეგიც. მან ასეთ წარმომადგენლობით ტურნირში 4,5 ქულა მოაგროვა და VIII-IX ადგილები გაიყო.

**ანზორ სანიკიძე,**
**სპორტის ოსტატი.**

## სამი ტური დარჩა

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში მიმდინარე მოზარდთა საქართველოს პირველობის კიდევ სამი ტური გათამაშდა.

**გოგონებში** 10 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილის სათავეშია ეკა ტაბატაძე — 8,5 ქულა. ზედიზედ ოთხი გამარჯვების შემდეგ, II ადგილზე გადაინაცვლა ნატო ეძგვერაძემ — 7. 6,5 ქულა მოაგროვა მაია გრიგალაშვილმა, ხოლო სოფიკო ტყეშელაშვილმა — 6.

ამდენივე ტურის შემდეგ **ჭაბუკთა** შორის დაუმარცხებლად ლიდერობს რომან სიჭინავა — 8,5 ქულა. II ადგილზეა მიხეილ კეკელიძე — 8. მომდევნო ადგილებზე არიან გაგი ქორიძე — 6,5 და დათო ტიკურიშვილი — 6 ქულა.

**თამარ ხმიადაშვილი.**

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ქულათა დეფიციტი

თბილისი. კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლე. 7 დეკემბერი.

**„დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 70:69 (37:37).**

**„დინამო": ტიუბინი (21), შენგელია (17), დარსაძე (14), ვაშაკიძე (7), უსტიაშვილი (6), სანაძე (3), ფერიაშვილი (2), დაუშვილი.**

**„სპარტაკი": კისილიოვი (22), კოროლიოვი (22), მალცევი (8), შჩეტინინი (5), პაშუტინი (5), ჟარკოვი (3), ივანოვი (2), ხარჩენკოვი (2), უგრიუმოვი, კაპუსტინი.**

**მსაჯები: რ. რიჟიკე (კიევი) და ს. სამულიავიჩუსი (ვილნიუსი).**

**სამდივნოს** ოქმში ყველაფერი ზუსტადაა აღრიცხული: ვინ რამდენჯერ შეცდა საჯარიმო სროლის შესრულების დროს, ვინ რამდენ ხანს დაჰყო მოედანზე, რამდენი ჯარიმა მიიღო და თავის კოლექტივს რამდენი ქულა შესძინა. ტექნიკური მონაცემები ამ შემთხვევაში დაახლოებით ერთნაირია, რაც, ცხადია, ძალთა თანაფარდობასა და ბრძოლის სიმძაფრეზე მიგვანიშნებს.

ეს, სხვათა შორის, ანგარიშსაც ეტყობა. პირველმა ტაიმმა უძლიერესი ვერ გამოავლინა და ბრძოლის 20 წუთი ფრედ დამთავრდა. მეორე ნახევარშიც ბევრი არაფერი მომხდარა და „დინამომ", საბოლოო ჯამში მინიმალურ, ერთქულიან უპირატესობას მიაღწია, სწორედ ასეთ დროს ამბობენ, რომ ერთმანეთს შეხვდა ორი თანაბარი ძალის გუნდიო.

მაგრამ პირველი ტაიმის დასაწყისი, მისი პირველი წუთები არ იყო ასეთი უკონფლიქტო და მშვიდი. პირიქით, თბილისის „დინამოსათვის" იგი ერთობ მძიმედ და გარეგნულად უპერსპექტივო გამოდგა. მოთამაშეები ცდებოდნენ დაცვაში და შეტევებში, ცდებოდნენ უფრო ხშირად, ვიდრე მეტოქე, და რაც მთავარია, მარტივ სიტუაციებში. დინამოელებმა, რაც აშკარად ცუდის მომასწავებელი იყო, პირწმინდად წააგეს „ფარი". აქედან გამომდინარე ყველა უსიამოვნო შედეგით. გუნდი შეცდომებს უშვებდა ბურთის გადაცემებში, ვერ იყენებდა საჯარიმო ტყორცნებს, გაუბედავად და უზუსტოდ ისროდა კალათში.

ასე გაგრძელდა დიდხანს, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ მოედანზე არ გამოვიდა ტიუბინი. ამ დროისთვის ლენინგრადის „სპარტაკს" ქულების საკმარისი მარაგიც ჰქონდა და ვითარებას ფაქტიურად ერთპიროვნულად განაგებდა. პირველ ყოვლისა საჭირო იყო ამ უპირატესობის ლიკვიდაცია, ინიციატივის ხელში აღება, რასაც, სხვათა შორის, გუნდმა იმავე ტიუბინის დახმარებით მიაღწია. ტაიმის მიწურულს თანაფარდობა აღდგა და ლენინგრადელები, როგორც იტყვიან, შესვენებაზე ხელცარიელნი წავიდნენ.



მეორე ტაიმის დასაწყისი, ფაქტიურად პირველის ანალოგია გახლდათ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ „სპარტაკმა" ინიციატივა უფრო ადრე დათმო. ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მაშინ, როცა შენგელიამ დაიკავა ადგილი შეტევის ცენტრში. ამ ტიპის ცენტრალური თავდამსხმელის სრული ნეიტრალიზაცია ჯარიმების მიუღებლად ძნელია, მით უფრო, როცა პასები ყველა მხრიდან დროზე მოდის. გუშინწინდელ მატჩში ხუთი პერსონალური შეცდომისთვის მოედანი ერთადერთმა კალათბურთელმა დატოვა. ეს გახლდათ შენგელიას უშუალო მეთვალყურე შჩეტინინი. მისი გასვლის შემდეგ კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა სტუმრების საუკეთესო სნაიპერი კოროლიოვიც, რომელმაც თამაში ოთხი ჯარიმით დაამთავრა და ამის გამო ერთგვარად შებოჭილი იყო.

თბილისის „დინამო" ახალგაზრდული გუნდია და ბუნებრივია ყველაფერი ისე, როგორც საჭიროა, არ გამოსდის. მაგრამ დღესდღეობით არსებობს გზა, რომელიც მისთვის ყველაზე ხელსაყრელია. ამ გზას გუნდი არ უნდა გადავიდეს. შენგელიას წინააღმდეგ თამაში ნებისმიერ მეტოქეს უჭირს, და ეს გუნდის მთავარი კოზირია. ამიტომ შენგელია მაქსიმალურად უნდა დაიტვირთოს. „დინამოს" წევრებს შეუძლიათ სწრაფად თამაში — ესეც უნდა გამოვიყენოთ. ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში სწრაფი პირველი შეტევის უნარიც, თავისთავად, შანსია და საკმაოდ დიდი კოზირი.

დინამოელთა უპირატესობა ამ მატჩში ყველაზე მკაფიოდ შეხვედრის მიწურულს გამოიკვეთა, როცა ანგარიშში სხვაობამ 7-8 ქულა შეადგინა. მაგრამ ძველმა სენმა ამჯერადაც იჩინა თავი. ჩვენი გუნდი უპირატესობას მძიმე ბრძოლით აღწევს ხოლმე და შემდეგ უბრძოლველად ფლანგავს მას. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ მატჩის ბოლო ორმა წუთმა დრამატიული ელფერი მიიღო. აქედან კიდევ ერთი, დინამოელთათვის საჭირო დასკვნა უნდა გაკეთდეს. ბრძოლა საჭიროა პირველიდან ბოლო წუთამდე ერთნაირი ენერგიითა და მონდომებით. არც ერთ საკავშირო ჩემპიონატში არ უჭირდა ჩვენს გუნდს ისე, როგორც წლევანდელში. არც ერთ ჩემპიონატში არ სჭირდებოდათ დინამოელებს ქულები ისე, როგორც წლევანდელში.

ნოდარ [illegible]

**გუშინ ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრაც დინამოელებმა მოიგეს — 90:82 (37:48).**

## სხვა მატჩები

**დონეცკი.** როგორც ვიუწყებოდით, ადგილობრივმა „შახტიორმა" პირველი მატჩი მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კოლექტივს მინიმალური უპირატესობით (102:101) მოუგო. განმეორებით შეხვედრაში ბელორუსიის კალათბურთელებმა დამაჯერებელი რევანში აიღეს— 117:72 (65:44).

**რიგა.** ვეფ-მა ორი პრინციპული მატჩი მოუგო მოსკოვის „დინამოს" და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. პირველი შეხვედრის შედეგია 103:94 (60:50), მეორის — 109:88 (58:51).

## გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 8 დეკემბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 15 | 14 | 1 | 29 |
| ვეფ (რიგა) | 16 | 11 | 5 | 27 |
| „კალევი" (ტალ.) | 16 | 10 | 6 | 26 |
| „დინამო" (მოსკ.) | 16 | 10 | 6 | 26 |
| „ჟალგირ." (კაუნ.) | 16 | 8 | 8 | 24 |
| რტი (მინსკი) | 16 | 8 | 8 | 24 |
| ასკ (ალმა-ათა) | 14 | 9 | 5 | 23 |
| „სპარტაკი" (ლენ.) | 17 | 6 | 11 | 23 |
| „შახტიორი" (დონ.) | 18 | 5 | 13 | 23 |
| „ბუდიველნიკი" (კ.) | 14 | 7 | 7 | 21 |
| „დინამო" (თბილისი) | 14 | 4 | 10 | 18 |
| „სტატიბა" (ვილნ.) | 16 | 2 | 14 | 18 |

ადგყო, შობილი ფარსულისაგან



# ჯემალ ცერცვაძე

**ხელბურთის** თამაშს თავი 1974 წელს დაანება. 15 წლის მანძილზე ბრწყინავდა მისი უბადლო ტალანტი მსოფლიოს ხელბურთის მოედნებზე. ზუსტად ამდენ ხანს სტანჯავდა იგი მოწინააღმდეგის მეკარეებსა და მცველებს მოედანზე და ესთეტიკური სიამოვნების გრძნობას ანიჭებდა მაყურებლებს ტრიბუნებზე.

„ბურთს ფლობს ცერცვაძე. დაცვა მობილიზებულია. მეკარეს შუბლზე აქვს გამოსხმული თვალები. ყველა ელის, რომ ცერცვაძე ამოძრავდება, მაგრამ... იგი არც შერხეულა, ელვის სისწრაფით ზურგს უკან წაიღო ხელი და ბურთი ბადეში აფართხალდა. რა ძნელია, რომ კაცს ეს მომენტი არ უნახავს და სიტყვიერად გინდა გააგებინო". არადა, ვინ მოთვლის რამდენი ასეთი ლამაზი ბურთი აქვს გატანილი მას თავისი ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე. ამბობენ 7 ათასამდეო, მართლაც შთამბეჭდავი ციფრია.

დრო ულმობლად გარბის. ქართული ხელბურთის უფროსი თაობის ბრწყინვალე წარმომადგენელმა ხელბურთის ჯადოქრად წოდებულმა ჯემალ ცერცვაძემ უკვე ხუთათეულ წელს გადააბიჯა.

60-იანი წლები ქართული ხელბურთის ოქროს ხანაა. რესპუბლიკის უპირველესი გუნდი თბილისის „ბურევესტნიკი" ორჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1962, 1964), სამჯერ ზედიზედ ფლობდა ვერცხლის მედლებს (1965, 1966, 1967), 1963 წელს იყო ბრინჯაოს პრიზიორი. ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ქართული ხელბურთის ამ ტრიუმფალურ წარმატებაში „ლომის წილი" სწორედ ჯემალ ცერცვაძეს მიუძღვის.

60-იანი წლების თბილისის „ბურევესტნიკი" ექსტრა კლასის ხელბურთელების დეფიციტს არ განიცდიდა: ჯემალ აბაიშვილი, თეიმურაზ ზარდალიშვილი, ანზორ ექსეულიძე, იმედო (ლუტი) ფხაკაძე, ჯანო ბაგრატიონი, გარი მაჭავარიანი, ბორის კოპალეიშვილი, თამაზ (ფარჩო) ანთაძე, ლერი კარტოზია, ალექსანდრე ხუციშვილი. მაგრამ ჯემალ ცერცვაძეს ამ ძლიერ ანსამბლშიც კი თავისი კუთვნილი ადგილი ჰქონდა. იგი იყო ამ ჩინებული გუნდის აღიარებული ლიდერი და ყველაზე უფრო კაშკაშა ვარსკვლავი, ხოლო იყო საუკეთესოთა შორის საუკეთესო, იოლი საქმე როდია. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მის გარეშე „ბურევესტნიკი" სულ სხვა გუნდი იყო.

ჯემალ ცერცვაძე გახლდათ ბრწყინვალე ბომბარდირი, რომელიც რისხვად ევლინებოდა მსოფლიოს უძლიერეს მეკარეებს. მის მიერ გატანილი გოლები დღესაც კი ქრესტომათიულად რჩება და ულამაზესი გოლების კატეგორიას განეკუთვნება. მაგრამ ცერცვაძე არ იყო მარტო განუმეორებელი ბომბარდირი. ასეთი შეფასება ზედაპირული იქნებოდა. ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „აისბერგის ზედა ნაწილია" ყველასათვის ხელმისაწვდომი და ხილული. იგი კომბინაციების ხლართვის ოსტატი, ხელბურთის ნამდვილი ესთეტი იყო.

შემთხვევითი როდია, რომ ოლიმპიურმა ჩემპიონმა ალექსანდრე ანპილოგოვმა, რომელიც ქართული ხელბურთის შემდგომი თაობის ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო, თავის კერპად ჯემალ ცერცვაძე და თამაზ ანთაძე დაასახელა. „ცერვაძის ხასიათის ტექნიკურ ჭკვიან მოთამაშეს ახლა ვერსად შეხვდებით" — ეს მისი სიტყვებია. ცერცვაძის ტექნიკური და გონებამახვილური თამაში არც უცხოელ მიმომხილველებს გამორჩენიათ მხედველობიდან და უცხოურ პრესაში მის მიმართ არაერთ კომპლიმენტს შეხვდებით. დასავლეთგერმანული გაზეთი „შტუტგარტ ცაიტუნგი" წერდა: „საბჭოთა კავშირის ნაკრების რეკორდსმენია ხელბურთელი თბილისიდან, რომელსაც ძნელად წარმოსათქმელი სახელი და გვარი აქვს — ჯემალ ცერცვაძე, რომლის რაფინირებული დარტყმების ეშინია ყველა მეკარეს. ჩატარებული აქვს 73 შეხვედრა ნაკრების დონეზე, გატანილი აქვს 285 ბურთი, მაგრამ იგი არა მარტო კარებზე მონადირეა, არამედ თავისი გუნდის კარგი დირიჟორიცაა". შვეიცარიის სპორტული ჟურნალი „ტიპი": „რუსებმა შეიძლება წაიბორძიკონ გდრ-სთან შეხვედრაში, მაგრამ ერთ-ერთი თავდამსხმელი, რომელიც იშვიათად ბორძიკობს, არის ცერცვაძე. მიუხედავად შევიწროვებისა, გულმოდგინე მეთვალყურეობისა, იგი ყოველთვის პოულობს ხელსაყრელ პოზიციას შეტევისათვის".

ხელბურთში ჯემალ ცერცვაძის გზა ცოტათი უჩვეულოდ წარიმართა. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ რკინიგზის მეშვიდე სკოლის (ახლა პირველი სკოლაა) დამთავრების შემდეგ იგი თბილისის „დინამოს" ოსტატ კალათბურთელთა გუნდში მიიწვიეს. მანამდე სამჯერ იყო რკინიგზელთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. (1955, 1956, 1957). სხვათა შორის, ჯემალ ცერცვაძე კალათბურთელთა გუნდში ჩარიცხეს ქართული კალათბურთის ისეთ კორიფესთან ერთად, როგორიც ვლადიმერ („პტიცა") უგრეხელიძე იყო. ცერცვაძემ კალათბურთელთა გუნდში ითამაშა კონსტიტუციის თასზე და საქართველოს პირველობაზე. მისი პარტნიორები იყვნენ ქართული კალათბურთის ვარსკვლავები: ოთარ ქორქია, ლევან ინწკირველი, ალექსანდრე კილაძე, გურამ („აპოლონ") აბაშიძე. ხელბურთი მის ცხოვრებაში სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა. ერთხელ, სრულიად შემთხვევით, ნახა ხელბურთელთა შეხვედრა 11X11 და როგორც თვითონ ამბობს, ძალიან მოეწონა. მაშინ ხელბურთი ჩვენში პირველ ნაბიჯებს დგამდა და, რასაკვირველია, პოპულარობით კალათბურთს ვერ შეედრებოდა. იმ პერიოდში ხელბურთელები პირველობაზე მიდიოდნენ, მთხოვეს და მეც წავყევი. ტურნირიდან დაბრუნებულ დინამოელთა მაშინდელმა მწვრთნელმა გიორგი ავალიშვილმა მკაცრად დამტუქსა. მას და გიორგი შარაშიძეს შორის გაიმართა ცხარე კამათი — კალათბურთელთა გუნდში უფრო უკეთესი იქნებოდა ცერცვაძე თუ ხელბურთელთა გუნდში. ბოლოს შარაშიძემ თქვა: „თავად აირჩიოს".

სპორტის სასახლის გახსნის ცერემონიალს ამშვენებდა საერთაშორისო მატჩი ხელბურთში უნგრეთის ნაკრებთან. ისინი მაშინ მსოფლიოს ხელბურთის ლიდერები იყვნენ. სხვათა შორის, 60-იან წლებში მათ ორჯერ მოიგეს პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი თბილისში „ზარია ვოსტოკას" პრიზზე. ეს მატჩი ცერცვაძემ, როგორც იმდროინდელი პრესა აღნიშნავს, ჩინებულად ითამაშა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მისი შესრულებით პენალტები. უნგრელთა მეკარე ამაოდ დაშვრა გამოეცნო დარტყმის მიმართულება და ერთხელ სავსებით თავგზააბნეულმა კარის ძელს მიარტყა თავი.

1962 წელი ოქროს ასოებით ჩაიწერება ქართული ხელბურთის ისტორიაში. ჩემპიონატის ბოლო ტურში თბილისის „ბურევესტნიკი" მასპინძლებს, კაუნასის „ატლეტასს" ხვდებოდა. ფრე ან წაგება მასპინძლებს ხელს არ აძლევდათ. ასეთ შემთხვევაში ისინი ბრინჯაოს მედლებს დასჯერდებოდნენ. ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად მათ მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს. კაუნასში თამაში ძალზე ძნელია, მით უმეტეს ასეთი პრინციპული მატჩისა. მასპინძლებს საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავდათ. მათი ლიდერები იყვნენ მაცაჟისკასი და კონტვაიანისი. ამ ექსტრემალურ სიტუაციაში თბილისელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ დაიბნენ და ნამდვილი ჩემპიონური ხასიათი გამოავლინეს. ერთ-ერთი მათგანი, ვინც ამ მძიმე წუთებში არ დაიბნა და პარტნიორები იერიშზე გაიყოლია, ჯემალ ცერცვაძე იყო, მატჩი ფრედ დამთავრდა 17:17 და თბილისის „ბურევესტნიკი" საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონი გახდა. მომდევნო 1963 წელს თბილისის „ბურევესტნიკი" მხოლოდ ბრინჯაოს მედლებით დაკმაყოფილდა. ცერცვაძის აზრით, ასეთი მოკრძალებული შედეგის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ დარბაზში ემზადებოდნენ, ქ. სვერდლოვსკში კი მიწის მოედნებზე მოუხდათ თამაში.

1964 წელს მოსკოვში თბილისის „ბურევესტნიკი" კვლავ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. აი, როგორ იხსენებს ამ ამბებს ქართველი ხელბურთის ვეტერანი ჯ. ცერცვაძე: „ჩემპიონატის ბოლოს წინა მატჩში კაუნასის „ატლეტასს" ვეთამაშებოდით. მოგების შემთხვევაში ჩემპიონები ვხდებოდით. აქ მოხდა ერთი შემთხვევა, რომლის აღწერაც, ალბათ, ღირს. მატჩის ანგარიში საყაიმოა. ბოლო წამებზე ჯარიმა ვტყორცნე და შევაგდე. ბურთი ჩათვალეს, მაგრამ მოხდა საოცრება — ერთი საათის შემდეგ მსაჯთა კოლეგიამ გადაწყვეტილება შეცვალა და ეს გოლი გააუქმა. მატჩი ფრედ დამთავრდა. ეს შესაძლოა იმიტომ გააკეთეს, რომ ზაპოროჟიელებთან თუ წავაგებდით ბოლო ტურში, მაშინ ჩემპიონი მოსკოვის „კუნცევო" გახდებოდა, მაგრამ გადამწყვეტ მატჩში ზაპოროჟიეს „ალუმინსტროის" შანსი აღარ დავუტოვეთ". ცერცვაძეს მიაჩნია, რომ „იმ ხანების „ბურევესტნიკის" მთავარი კოზირი იყო შეთამაშება. სასტარტო შემადგენლობის მოთამაშეებს უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთის".

მომდევნო სეზონში თბილისის „ბურევესტნიკი", როგორც ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობდა. თბილისელებს არც ამ მასშტაბურ ტურნირში შეურცხვენიათ თავი და თუ უფრო მაღალ შედეგებს ვერ მიაღწიეს, ეს, პირველ ყოვლისა, გამოუცდელობით აიხსნება. მერვედფინალში თბილისელებმა დამაჯერებლად სძლიეს პოლონეთის ჩემპიონს კატოვიცეს გუნდს. მათ უკვე საკუთარ მოედანზე მოიპოვეს შთამბეჭდავი გამარჯვება 32:18, რის შემდეგაც მეოთხედფინალისტის ვინაობა არავითარ ეჭვს აღარ იწვევდა. აი, აქ კი მათ უკვე საკმაოდ სერიოზული მეტოქე ელოდათ — ზაგრების „მედვეშჩაკი", რომლის შემადგენლობაში თამაშობდნენ ევროპის უძლიერესი ხელბურთელები ბომბარდირი ჟაგმეისტერი და გამთამაშებელი მილკოვიჩი. ამ მატჩს ძალიან დრამატული კოლიზია ჰქონდა. ზაგრებში იუგოსლაველებმა მოიგეს 21:13. თბილისში ისტორია განმეორდა. მატჩის ბოლო წუთზე ჩვენები წინ არიან 21:12. იური კლიმოვის ნაჩქარევი ტყორცნა არაზუსტი გამოდგა. სტუმრების სწრაფი კონტრშეტევა და ანგარიში 21:13 გახდა. საჭირო გახდა კენჭისყრა, ბედმა იუგოსლაველებს გაუღიმა.

ჯემალ ცერცვაძე იყო არა მარტო თბილისის „ბურევესტნიკის", არამედ საბჭოთა კავშირის ნაკრების აღიარებული ლიდერი. საკმარისია ითქვას, რომ იგი მონაწილეობდა მსოფლიოს ოთხ ჩემპიონატში. საბჭოთა კავშირის ნაკრებში მისი დებიუტი 1960 წელს პოლონეთთან შედგა. 1961 წელს მოსკოვში რუმინელებთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში 12:9 მოიგეს საბჭოთა ხელბურთელებმა, მაგრამ ბუქარესტში მარცხი იწვნიეს და უძლიერესთა შორის ვერ მოხვდნენ. რუმინელები მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ. მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატზე ჩეხოსლოვაკიაში უფრო უკეთესად გამოვედით — V ადგილი დავიკავეთ, მეოთხედფინალში დავმარცხდით მასპინძელთა საკმაოდ ძლიერ გუნდთან. „მატჩისათვის ფსიქოლოგიურად არ აღმოვჩნდით მზად და მოედანზე რატომღაც დამარცხებას შეგუებულები გამოვედით. თორემ, ვფიქრობ, უფრო უკეთაც შეიძლებოდა თამაში" — იგონებს ჯემალ ცერცვაძე.

ყველაზე უფრო დიდი სიამოვნებით ჯემალ ცერცვაძემ მსოფლიოს 1967 წლის ჩემპიონატი გაიხსენა, სადაც ნაკრებმა საპატიო IV ადგილი დაიკავა. „ჩემპიონატის წინ ყველანი ერთ-ერთ ფავორიტად ასახელებდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრებს. განსაკუთრებით აიწია ჩვენმა აქციებმა გფრ-ის ძლიერი გუნდის დამარცხების შემდეგ. ამიტომ ამ მატჩზე ცოტათი მინდა ვისაუბრო. დასაწყისში უპირატესობას გერმანელი ხელბურთელები დაეუფლნენ, რასაც დიდად შეუწყო ხელი მეკარე ვალენტინ ცაპენკოს სუსტმა თამაშმა. ცაპენკო კარში ჯემალ აბაიშვილმა შეცვალა. მან რამდენიმე „მკვდარი" ბურთი აიღო და გარკვეული გარდატეხა შეიტანა თამაშში. უნდა ითქვას, რომ დანიელებთან ნახევარფინალურ მატჩში ამ ტაქტიკური სვლის გამეორება აღარ აღმოჩნდა ეფექტური. როგორც ეტყობა თავიდანვე ჯემალ აბაიშვილის დაყენება ჯობდა კარში. წინა მატჩში გფრ-ის ძლიერ გუნდთან გამარჯვების შემდეგ გვეგონა, რომ დანიელებთან მოგება არ გაგვიჭირდებოდა. მართლაც, დასაწყისში დავწინაურდით 7:2, თამაში მოგებულად მივიჩნიეთ და ცოტათი მოვეშვით... ბოლოს მსოფლიოს ჩემპიონატზე ვითამაშე 1970 წელს, სადაც საბჭოთა ნაკრები გამოვიდა სუსტად და X ადგილი დაიკავა".

სხვა დიდი წარმატებები: მრავალ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვება — 1968 წელს სოფიაში — ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალის ოქროს მედალი და რკინიგზელთა მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორი.

ჯემალ ცერცვაძე დღესაც რჩება მსოფლიოს კლასის ხელბურთელად, მოაზროვნე ხელბურთელის ეტალონად.

**მერაბ კალანდაძე**

# საიდუმლო... საჯაროდ!

**იქ**, დასავლეთში, მოდელის პირველი ჩვენება დიდი საიდუმლოა. პრესაში ხშირად წერენ უცხოელი ჟურნალისტები და უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ მათ სადემონსტრაციო დარბაზში შესვლის წინ ჩხრეკენ დაახლოებით ისე, ნარკოტიკებით მოვაჭრეებს რომ ჩხრეკენ საბაჟოში. აფრთხილებენ — არავითარი გადაღებები, არავითარი ჩანაწერები!

ახალი მოდელი დიდი საიდუმლოა!

ეს იქ, იმათთან. ჩვენთან კი — ინებეთ, ბატონო. აგერ, თუნდაც ამ სურათს დახედეთ: თბილისელი პედაგოგი გურამ გელაშვილი ახალ



სპორტულ ფორმას სთავაზობს... პირველ ყოვლისა, რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წევრებს. კარგად დააკვირდით: უთუოდ გეცნობათ ამ ახალი ტანსაცმლის ზოგიერთი დეტალი, რაღაც ნაცნობსა და ძალზე ახლობელს გაგახსენებთ.

მოგწონთ?

ავტორი, გურამ გელაშვილი, და სამუშაოს უშუალო შემსრულებელი — მისი მეუღლე, ასევე მათემატიკის მასწავლებელი ლეილა გუდაძე, თითქმის ერთ წელიწადს მუშაობდნენ ახალი მოდელის შექმნაზე. ერთი პირობა ქსოვილისა და ფურნიტურის პრობლემები გაუჩნდათ, მაგრამ ბოლოს ყველაფერი, რაც კი სჭირდებოდათ, თბილისის მაღაზიებში შეიძინეს.

მოგწონთ?

თუ მოგწონთ, მაშინ ვინ მოჰკიდებს ხელს ამ პროდუქციის დამზადებას, ვინ გამოყოფს თანხებს, რესპუბლიკის რომელი ნაკრები გუნდი მოისურვებს ამ ახალ მუნდირში პირველი გამოეწყოს?

ეს საკითხები, რომლებიც დასავლეთში ძალზე სწრაფად წყდება, ჩვენში უაღრესად მწვავე და ზოგჯერ გადაუჭრელიც კია. არადა, ძალიან გვინდა გვჯეროდეს, რომ მოდელის ოპერატიულსა და დემოკრატიულ პირველ ჩვენებას ასეთივე ოპერატიული და საქმიანი პასუხი მოჰყვება.

გამოხმაურებას რედაქციაში ველით.

## არმიელთა მარცხი

**კაზერტა.** გაიმართა კორაჩის თასის მორიგი კალენდარული მატჩი, რომელშიც ადგილობრივი „ფონოლტას“ კალათბურთელებმა მოსკოვის არმიელთა გუნდს უმასპინძლეს. შეხვედრა დამთავრდა იტალიელთა გამარჯვებით — 87:78.

„ლოკომოტივის“ სტადიონი

10 დეკემბერი

**საქველმოქმედო მატჩი ქალთა ფეხბურთში**

**„საპოვნელა“ (ჭიათურა) — „ივერია“ (თბილისი)**

დასაწყისი 14 საათზე

ბილეთები იყიდება „ლოკომოტივის“ სტადიონის სალაროებში.

**საერთაშორისო** საფეხბურთო წრეების ყურადღება დღეს მიპყრობილია რომისკენ. მარადიული ქალაქის „პალერის“ სპორტკომპლექსში მოხდება მსოფლიოს XIV საფეხბურთო ჩემპიონატის წილისყრა, გათამაშების ფინალური ეტაპის მონაწილე 24 გუნდი განაწილდება 6 წინასწარ ჯგუფად.

მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა წილისყრაზე საგანგებოდ მიიწვია იტალიის პრემიერ-მინისტრი ჯულიო ანდრეოტი, წილისყრის ცერემონიალში მონაწილეობას მიიღებენ წარსულის გამოჩენილი ფეხბურთელები — ბრაზილიელი პელე, ინგლისელი ბობი მური, არგენტინელი დანიელ პასარელა, დასავლეთგერმანელი კარლ-ჰაინც რუმენიგე, იტალიელი ბრუნო კონტი, ურუგვაელი რუბენ სოზა.

როგორც ჟურნალისტებს განუცხადა იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა ლუკა დი მონტეცემოლომ, წილისყრის ცერემონია დაიწყება საზეიმო კონცერტით, 40-წუთიან შოუს გახსნიან იტალიური კინოს ვარსკვლავი სოფი ლორენი და განთქმული საოპერო მომღერალი ლუჩანო პავაროტი, რომელიც, თურმე, „იუვენტუსის“ თავგამოდებული ქომაგი ყოფილა. მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრის ტრანსლაცია გადაიცემა 80-ზე მეტ ქვეყანაში, აქ მოისმენენ მსოფლიო ჩემპიონატის ჰიმნს, რომელიც შექმნა პოპულარულმა იტალიელმა კომპოზიტორმა ჯორჯო მოროდერომ (მასვე ეკუთვნის 1988 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ოფიციალური ჰიმნი). აჩვენებენ მოკლემეტრაჟიან ფილმებს იმ 12 ქალაქზე, სადაც ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის წინასწარი მატჩები. ეს კინოფილმები გადაიღეს რეჟისორებმა ბერნარდო ბერტოლუჩიმ და ფრანკო ძეფირელიმ.

იტალია-90



# დღეს რომში...

წინასწარ ჯგუფებში მეთაური გუნდების დასადგენად ოფიციალურ წილისყრას წინ უძღოდა მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ხანგრძლივი მუშაობა. აქ უნდა გაეთვალისწინებინათ გუნდების სიძლიერეც, გეოგრაფიული მდებარეობაც. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შეჯიბრების საწყის ეტაპზე ერთმანეთს არ შეხვდნენ ფავორიტები და მათი ერთმანეთთან შეხვედრების ხარჯზე გადამწყვეტ ეტაპზე არ გავიდნენ შედარებით სუსტები. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ელიტაში მყოფი 6 საუკეთესო გუნდის გარდა, უშეცდომოდ უნდა დადგინდეს 6 აუტსაიდერიც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღემდე ჩატარებული 13 მსოფლიო ჩემპიონატიდან ხუთჯერ გაიმარჯვეს მასპინძლებმა, ეს კი საგანგებო მდგომარეობაში აყენებს იტალიის გუნდს.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას შემუშავებული აქვს საგანგებო სისტემა, სადაც, ქულათა ჩათვლით, ვლინდება მსოფლიოს საუკეთესო გუნდები ყოველი გარკვეული კონკრეტული პერიოდისთვის. კერძოდ, დიდი დავა გამოიწვია საკითხმა თუ ელიტაში ვის უნდა მიკუთვნებოდა მეექვსე ადგილი — ინგლისის თუ ესპანეთის გუნდს.

ერთი სიტყვით, მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრა მეტად საინტერესო პროცედურაა, ჩვენ გვახსოვს ის დაუვიწყარი სანახაობა, რომელიც 1988 წლის ევროპის ჩემპიონატზე ვიხილეთ და მით უფრო დასანანია, რომ სსრ კავშირი არ შედის იმ 80-ზე მეტი სახელმწიფოს რიცხვში, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური თამაშების ტრანსლაციაა დაგეგმილი: ყოველ შემთხვევაში, ჩვენს სატელევიზიო პროგრამებში ასეთი გადაცემა გათვალისწინებული არ არის.

# შერჩა მხოლოდ „დნეპრი“

**დამთავრდა** ფეხბურთში ევროპის 1989-90 წლების საკლუბო გათამაშებათა წლევანდელი ეტაპი. 6 საბჭოთა კლუბიდან გათამაშებას შემორჩა მხოლოდ ერთი. ესაა დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“, რომელიც ჩემპიონთა თასზე გამოდის.

თავისთავად ეს დიდი წარუმატებლობაა. მოსალოდნელი იყო, რომ კიევის დინამოელები, იტალიის „ფიორენტინასთან“ მეტოქის მინდორზე მინიმალური ანგარიშით დამარცხების შემდეგ (0:1), შეძლებდნენ შინ რევანშის აღებას, მაგრამ „ფიორენტინა“ კერკეტი კაკალი გამოდგა და კიეველებმა თავიანთ მინდორზე ვერაფერი გააწყვეს მეტოქესთან. საჭირო კი იყო 2 ბურთის უპირატესობით თამაშის მოგება.

კიევის „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ თამაშის შემდეგ განაცხადა, რომ მარცხის მთელი სიმძიმე ისევ და ისევ თვით კიეველ ფეხბურთელებს აწევთ ზურგზე: —გუნდის მწვრთნელებმა გადავწყვიტეთ თბილისის სტადიონის ნაცვლად კიევის შეჩვეულ მინდორზე გვეთამაშა, ვინაიდან დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენი სტადიონის მუშაკები ღირსეულად მოამზადებდნენ სათამაშო მინდორს, მაგრამ ტელევიზიითაც კარგად ჩანდა როგორ უჭირდათ ორივე გუნდის ფეხბურთელებს არა თუ ძნელი ტექნიკური ილეთების შესრულება, არამედ, უბრალოდ ყინულზე მოძრაობა და თავის შეკავება.

კიეველთა მთავარი მწვრთნელის განცხადებაში გაოცებას იწვევს ის, რომ თამაშის დღეს, დილით, გუნდის ხელმძღვანელობამ, თურმე, შეამოწმა სპეციალური საფარის ქვეშ მყოფი მინდვრის მდგომარეობა, დამაკმაყოფილებლად მიიჩნია იგი, მაგრამ შემდგომში სათამაშო მინდორი უკონტროლოდ დარჩა და თამაშის დაწყებამდე 3 საათით ადრე „ვილაცას“ აზრად მოუვიდა ვეება საფარი გადაეხადა და ბალახი ღიად დაეტოვებინა. ამის შედეგად მინდვრის საფარველი მოიყინა და ფეხბურთელებიც მოციგურავეებივით დასრიალებდნენ ზედ. ნუთუ ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში ამ „ვილაცის“ იმედით რჩება მთელი კიევის საფეხბურთო საზოგადოებრიობა და თვით კიევის „დინამოს“ მთელი კოლექტივიც?

შესაძლოა, ყველაფერი ეს თავის გასამართლებლადაა ნათქვამი, ვინაიდან მოყინულ მინდორზე იტალიელ ფეხბურთელებს ალბათ უფრო უჭირდათ თამაში, ვიდრე კიეველებს, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ სათამაშო მინდორი უკონტროლოდ დატოვებული აღმოჩნდა კვლავ და კვლავ გაკვირვებას იწვევს. ასეა თუ ისე, კიევის „დინამო“ სხვა ჩვენი გუნდების მსგავსად გამოეთიშა ევროპის საკლუბო გათამაშებას.

უეფა-ს თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩებში რამდენიმე მეტად საინტერესო წყვილი ებრძოდა ერთმანეთს. მაგალითად, მხოლოდ უაღრესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ გადაწყდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „შტუტგარტისა“ და ბელგიის „ანტვერპენის“ შეხვედრის ბედი. „შტუტგარტს“ პირველი მატჩი „ანტვერპენთან“ წაგებული ჰქონდა მინიმალური ანგარიშით — 0:1. საპასუხო მატჩში ბელგიელმა ფეხბურთელებმა ფრეს მიაღწიეს (1:1) და მეოთხედფინალში გავიდნენ.

ნამდვილი სენსაცია გამოიწვია უეფა-ს თასის ახლანდელი მფლობელის იტალიის „ნაპოლის“ მარცხმა, „ნაპოლიში“ კი თვით მარადონა გამოდის. ჯერ კიდევ პირველი მატჩის შემდეგ, როცა „ნაპოლიმ“ თავის მინდორზე ანგარიშით 2:3 წააგო ბრემენის „ვერდერთან“ (გფრ) ბევრი ილაპარაკეს, მაგრამ იმას, რაც 6 დეკემბერს ბრემენში მოხდა, არავინ მოელოდა: „ვერდერმა“ ანგარიშით 5:1 დაამარცხა მრისხანე მეტოქე.

უეფა-ს თასის მერვედფინალური ეტაპის საერთო შედეგები ასეთია:

„დინამო“ (კიევი) — **„ფიორენტინა“ (იტალია)** 0:0 (0:1)

**„კიოლნი“ (გფრ)** — „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) 3:0 (0:2)

„კარლ-მარქს-შტადტი“ (გდრ) — **„იუვენტუსი“ (იტალია)** 0:1 (1:2)

**„ლიეჟი“ (ბელგია)** — „რაპიდი“ (ავსტრია) 3:1 (0:1)

**„ოსერი“ (საფრანგეთი)** — „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) 0:0 (1:1)

**„ვერდერი“ (გფრ)** — „ნაპოლი“ (იტალია) 5:1 (3:2)

„პორტო“ (პორტუგალია) — **„ჰამბურგი“ (გფრ)** 2:1 (0:1)

„შტუტგარტი“ (გფრ) — **„ანტვერპენი“ (ბელგია)** 1:1 (0:1)

**შენიშვნა:** ხაზგასმულია გუნდები, რომლებიც მეოთხედფინალში გავიდნენ; ფრჩხილებში აღნიშნულია პირველი შეხვედრების შედეგები.

**ევროპის ყველა საკლუბო ტურნირის მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართება 1990 წლის 7 და 21 მარტს.**

# „დინამო“ ისრაელიდან დაბრუნდა

**ისრაელში** გამართული ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრების შემდეგ შინ დაბრუნდა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი.

როგორც გაუწყეთ, თბილისელები პირველ მატჩში ისრაელის ჩემპიონს ქ. ხაიფას „მაკაბის“ შეხვდნენ, საინტერესო თამაში დინამოელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 1:0, ბურთი ქეცბაიამ გაიტანა. მეორე მატჩი სტუმრებმა ქ. ნაზარეთის „აპოელთან“ გამართეს და გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით — 5:1. ბურთები გაიტანეს ჯიშკარიანმა-3, დარასელიამ და რევიშვილმა. საინტერესოდ წარიმართა მესამე შეხვედრა თელ-ავივში „მაკაბისთან“ (ეს კლუბი ქვეყნის 1989 წლის თასის მფლობელია) დაძაბული თამაში ფრედ დამთავრდა — 1:1, ბურთი ამჯერადაც ქეცბაიამ გაიტანა, ბოლო, მეოთხე შეხვედრა დინამოელებს ქ. აშდოდში ამავე სახელწოდების გუნდთან ჰქონდათ. თბილისელებმა აქაც აღმავლობით ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით — 2:1. დინამოელთაგან ბურთები გაიტანეს კეტაშვილმა (11-მეტრიანით) და ქეცბაიამ.

ისრაელში მგზავრობისას თბილისის „დინამოს“ ღირსებას იცავდნენ: გაბელია, ხაპოვი, კეტაშვილი, ცხადაძე, ჰედია, რევიშვილი, ჯიშკარიანი, ცვეიბა, ქეცბაია, კაჰარავა, გოგიჩაიშვილი, ცაავა, ჩიქოვანი, არზიანი, ნემსაძე, სვანაძე, დარასელია, ყიზილაშვილი.

დინამოელებს ახლა 2 იანვრამდე შვებულება აქვთ, შემდეგ კი მომავალი, 1990 წლის საფეხბურთო სეზონისთვის შეუდგებიან სამზადისს.

• • •

**გუშინ** რედაქცია დაუკავშირდა სპორტულ კომენტატორს ჯამლეთ ხუხაშვილს, რომელიც ისრაელში ახლდა დინამოელებს. აი რა თქვა მან: „განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია „დინამოს“ შეხვედრამ თელ-ავივის „მაკაბისთან“. ფაქტობრივად მასპინძელთა გუნდი გააძლიერეს „მაკაბის“ სხვა საკლუბო კოლექტივების მოთამაშეებით. ეს იყო „მაკაბის“ პირველი საერთაშორისო შეხვედრა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. მატჩის რეპორტაჟი მიჰყავდა სამ კომენტატორს, რომლებსაც ეხმარებოდა თბილისელთათვის კარგად ცნობილი ავი ქოენი — გახსოვთ ალბათ, იგი „ლივერპულში“ თამაშობდა. საგულისხმოა, რომ მატჩის რეპორტაჟი მეც მიმყავდა და ორივე ტაიმში საერთო ჯამში დაახლოებით 20 წუთი ეთერში ქართული ისმოდა იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის 99 პროცენტმა ეს ენა არ იცის. ეს იყო დიდი პატივისცემა არა მარტო სტუმრებისადმი, არამედ იმ 40 ათასი ქართველი ებრაელისადმი, რომლებიც დღეს ისრაელში ცხოვრობენ.

# მოსალოდნელი კორექტივი საფეხბურთო კოდექსში

**ცნობილია,** რომ ფეხბურთის თამაშის წესები ძალიან იშვიათად იცვლება. თუ რამე კორექტივი მოხდა, ეს უმთავრესად ეხება დეტალებს, თამაშის წესების კოდექსის უმთავრესი პუნქტები კი ათეული წლების მანძილზე უცვლელი რჩება. ცნობილია ისიც, რომ თამაშის წესებში ცვლილების შეტანის უფლება აქვს მხოლოდ ფეხბურთის საერთაშორისო წესების საგანგებო საბჭოს, რომელიც ტრადიციულად ფხიზლად ყარაულობს საფეხბურთო კოდექსს.

მაგრამ აი, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციიდან მოვიდა ცნობა, რომ მას გადაწყვეტილი აქვს ცვლილება შეიტანოს თამაშგარე მდგომარეობის წესში, მაგრამ ეს ცვლილება, წმინდა პრაქტიკული საფეხბურთო თვალსაზრისით, მეტად დიდმნიშვნელოვანია.

ფიფა-ს თანამშრომელმა გუიდო ტონიონიმ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა:

— ფეხბურთის ხელმძღვანელ ორგანოს, მართლაც, განზრახული აქვს შეცვალოს თამაშგარე მდგომარეობის ერთ-ერთი პუნქტი. ამჟამად არსებული წესებით, თამაშგარე აღინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მოიერიშე გუნდის მეტოქის ნახევარზე მყოფი უკანასკნელი თავდამსხმელი ერთ ხაზზეა მეტოქე მცველთან ერთად და ფაქტიურად წინ მხოლოდ მეკარე ჰყავს დარჩენილი. ფეხბურთის სპეციალისტები, მწვრთნელები, მოთამაშეები ამ პუნქტს აკრიტიკებდნენ, მათ მიაჩნიათ, რომ ეს დაუსაბუთებელი შეღავათია დაცვისთვის. ახალი ვარიანტით ასეთ შემთხვევაში თამაშგარე მდგომარეობა ფიქსირებული აღარ იქნება, ერთ ხაზზე ყოფნა თანაბარი სიტუაცია უნდა იყოს როგორც მცველის, ისე თავდამსხმელისთვის. მოსალოდნელია, რომ ამ სიახლეს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია მხარს დაუჭერს.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

**ქ. კასაბლანკაში** შედგა აფრიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველი ფინალური შეხვედრა „რაჟა კასაბლანკასა“ და „მულუდია ორანს“ შორის. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა „რაჟა კასაბლანკამ“.

**ცნობილმა** ბულგარელმა ფეხბურთელმა ხრისტო სტოიჩკოვმა, რომელიც ცსკა „სრედეცში“ (სოფია) თამაშობდა, ხელი მოაწერა კონტრაქტს ესპანეთის „ბარსელონასთან“. კონტრაქტის ვადაა 5 წელი. ხ. სტოიჩკოვი ახლა 23 წლისაა და ბულგარეთის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. კონტრაქტის თანხა 4 მილიონი დოლარია, იგი ძალაში შევა 1990 წლის 1 ივლისიდან.

## „სპორტპროგნოზი“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1989 წლის 49-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 3.249.763 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (2) მოგება 10.000 მანეთია, 12 შედეგისთვის (143) — 681 მანეთი, 11 შედეგისთვის (2.897) — 127 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 182.556 ვარიანტი. 13—0, 12—9, 11—189.

1989 წლის 23 დეკემბრიდან 1990 წლის 23 იანვრის ჩათვლით 49-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა.

რედაქტორი

თ. ბაჩეჩილაძე.

**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:** წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10578